კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ	
სკოლის დასახელება	**კონკურსანტი მასწავლებლის სახელი, გვარი, პოზიცია**
სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლა	ხათუნა დუმბაძე

ინფორმაცია ბიბლიოთეკის საჭიროებაზე	
აღწერეთ, რატომ გსურთ სკოლის ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის დამატება • რატომ არის მნიშვნელოვანი სკოლაში „ფინედუს“ კუთხის გახსნა? • როგორ შეუწყობს ხელს „ფინედუს“ კუთხე სკოლას და განათლების პროცესს? • რა შეუწყობს ხელს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, აქტიურად გამოიყენონ „ფინედუს“ კუთხის მასალები?	ფინანსური განათლება თანამედროვე სამყაროში გახდა აუცილებელი და ის განაპირობებს თითოეული ადამიანის ცხოვრების წარმატებას. ჩვენთვის, როგორც სკოლის წარმომადგენლებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს მხოლოდ ფორმალური განათლება კი არ მივაწოდოთ, არამედ შევთავაზოთ ისეთი არაფორმალური განათლება, რომელიც მათ ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს ჩამოუყალიბებს. ამ მიზნის მიღწევაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს „ფინედუს კუთხე“, რომელიც სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსდება. ეს იქნება ადგილი, სადაც მოსწავლეები მიიღებენ არა მხოლოდ თეორიულ ფინანსურ ცოდნას, არამედ შეძლებენ გაიგონ, თუ როგორ უნდა მართონ საკუთარ ფინანსები, როგორ შეადგინონ ბიუჯეტი და რა არის ფინანსური პასუხისმგებლობა. ფინანსური განათლების ხელმისაწვდომი რესურსების არსებობა ბიბლიოთეკაში ხელს შეუწყობს მოსწავლეთა უნარების განვითარებას როგორც ყოველდღიური ცხოვრების, ისე სამომავლო პროფესიული არჩევანისთვის. ბიბლიოთეკაში ფინედუს კუთხე გახდება ინსპირაციისა და განვითარების სივრცე, სადაც მოსწავლეები გაეცნობიან ფინანსურ თემებს მარტივად, ხელმისაწვდომად და ასაკის შესაბამისი რესურსების მეშვეობით. ეს კუთხე გააძლიერებს სკოლაში ფინანსური წიგნიერების კულტურას. ის ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებას, როგორებიცაა ბიუჯეტის დაგეგმვა, ხარჯების კონტროლი, მიზნობრივი დაზოგვა და სოციალური პასუხისმგებლობა. კუთხე დაეხმარება სკოლას არსებული საგანმანათლებლო მიდგომების გამრავალფეროვნებაში და მოსწავლეებისთვის საინტერესო, პრაქტიკულ სწავლის ფორმების შეთავაზებაში. ის გახდება ადგილი, სადაც მოსწავლეები თემატური აქტივობებისა და სიმულაციების მეშვეობით რეალურად გამოიყენებენ ფინანსურ ცოდნას.

	აქტიური პროექტები, როგორიცაა ფინანსური შეხვედრები მოწვეულ ექსპერტებთან, ბიუჯეტის ვორქშოპები, სიმულაციური თამაშები და საგნობრივი ინტეგრაციები, წაახალისებს მასალების რეგულარულ გამოყენებას.

ინფორმაცია ჩასატარებული პროექტის/აქტივობის შესახებ	
პროექტის /აქტივობის დეტალები	**ქვემოთ მოცემულ ველებში დეტალურად აღწერეთ პროექტი/აქტივობა, რომელსაც განახორციელებთ/დააინიცირებთ „ფინედუს“ მასალების გამოყენებით 2025 წლის 20 დეკემბრამდე.** • **შეგიძლიათ აღწეროთ როგორც ხანგრძლივი პროექტი, მაგ.: ფინანსური განათლების კლუბის შექმნა, სემესტრული კონკურსები, მასალების სხვა საგნებში ინტეგრირება და სხვ. ასევე, კონკრეტული, ერთჯერადი აქტივობები, მაგ.: ტრენინგი, დისკუსია და სხვ.** • **განგრძობით პროექტებში ინიცირება გულისხმობს პირველი აქტივობის ჩატარებას.**
მიზნობრივი სეგმენტი *(მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები ან სხვ)*	სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები
ადგილი, ხანგრძლივობა, ჯერადობა	სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა; აქტივობები ჩატარდება თვეში ორჯერ , 2025 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე.
ინდივიდუალურად განახორციელებთ თუ სხვა პირის ან ორგანიზაციის ჩართულობით (თუ სხვაც ჩაერთვება, პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე),მოკლედ აღწერეთ რა დანიშნულებით/ფუნქციით ჩაერთვება	აქტივობებს განვახორციელებ სკოლის რამოდენიმე მასწავლებლის დახმარებით. ასევე მოწვეული ექსპერტებიც (მაგალითად, ბანკის თანამშრომლები, მცირე მეწარმეები, ჩვენი სკოლის, ბიზნესმენი, კურსდამთავრებულები), რომლებიც მოსწავლეებს გაუზიარებენ საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას ფინანსური მართვის კუთხით.

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

პროექტის/აქტივობის აღწერა *(მიუთითეთ ყველა რელევანტური ინფორმაცია პროექტის იდეის შესაბამისად: რაში მდგომარეობს იდეა, როგორ წარიმართება შეხვედრა/შეხვედრები, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილავთ თემებს, რა სავარუდო თემები დაიფარება, რა მეთოდებს გამოიყენებთ და როგორ დაუკავშირებთ ფინანსურ განათლებას, რამდენი მონაწილე ჩაერთვება, პროექტი განგრძობითია თუ ერთჯერადი)*	სკოლაში „ფინედუს კუთხის“ შექმნა არამხოლოდ ფორმალურ, არამედ არაფორმალურ განათლებასაც შეესაბამება და მნიშვნელოვნად გააძლიერებს მოსწავლეთა ფინანსური ცნობიერების ამაღლებას. ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების დახმარებით მოსწავლეებს მიეცემათ შესაძლებლობა თავიანთ ასაკსა და საჭიროებებს მორგებული აქტივობებით განივითარონ ფინანსური აზროვნება. სკოლაში არსებული გამოცდილება და პრაქტიკა – როგორიცაა **მოსწავლეთა ნამუშევრების სისტემატური გამოფენა-გაყიდვები**, სადაც შემოსული თანხის ნაწილი ქველმოქმედებას ხმარდება, ნაწილი კი სასწავლო რესურსების შესყიდვას – კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ფინანსური განათლების ინტეგრაციას. მოსწავლეები რეალურად მონაწილეობენ ბიუჯეტის დაგეგმვაში და თანხის განაწილებაში, თუმცა ხშირად ამას ინსტინქტურად აკეთებენ. **„ფინედუს“ კუთხის ლიტერატურის** დახმარებით მათ ექნებათ საშუალება უკეთ გაიაზრონ ფინანსური პროცესები, ისწავლონ ბიუჯეტის შედგენა და სწორი დაგეგმვა. სკოლა ერთნაირი პასუხისმგებლობით უდგება როგორც ფორმალურ , ისე არაფორმალურ განათლებას. ამას მოწმობს ისიც, რომ **სხვადასხვა კლუბები რეგულარულად წერენ პროექტებს, მონაწილეობენ კონკურსებში და ხშირად იმარჯვებენ კიდეც.** პროექტების წერის პროცესში ბიუჯეტის შედგენა აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს – შესაბამისად, ფინანსური წიგნიერება ამ მიმართულებითაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს შემდეგი ტიპის პრაქტიკულ აქტივობებს „ფინედუს კუთხის“ გამოყენებით: **ბიუჯეტის ვორქშოპი – „როგორ გავანაწილოთ ჯიბის ფული“** მოსწავლეები მონაწილეობენ სპეციალურად მოწყობილ ფინანსურ სიმულაციაში, სადაც თითოეული იღებს შერჩეულ როლს (მაგალითად, ბავშვი, მშობელი ან მაღაზიის მეპატრონე, გამყიდველი, მყიდველი) და ამ როლის ფარგლებში უნდა დაგეგმოს თავისი შემოსავალი და ხარჯი. ისინი წყვეტენ, რისთვის დახარჯონ ფული – აუცილებელი თუ სასურველი საჭიროებებისთვის, სწავლობენ ფულის დაზოგვას, მიზნობრივ ხარჯვას და ბიუჯეტის

	განაწილებას. აქტივობა ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას თამაშის ფორმატში ასწავლის, რაც განსაკუთრებით შედეგიანია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის. **ფინანსური თამაში – „მიმდინარე თვე ჩემს ოჯახში“** მოსწავლეები გუნდებად განაწილებულები იღებენ წარმოსახვითი ოჯახის როლებს და წინასწარ განსაზღვრულ შემოსავალზე დაყრდნობით ქმნიან ბიუჯეტს. ისინი სწავლობენ ხარჯების დაგეგმვას, გადაჭარბებული ხარჯის თავიდან აცილებას და სოლიდარობის მნიშვნელობას ოჯახურ მოდელში. **პროექტი – „პლანეტა ეკონომიკა“** მოსწავლეები ქმნიან წარმოსახვით ქალაქს, ადგენენ მის შემოსავლის წყაროებსა და ხარჯებს, პრიორიტეტებს სოციალური საჭიროებებიდან გამომდინარე. პროექტი ეფუძნება გუნდურ მუშაობას, კრიტიკულ აზროვნებასა და სტრატეგიულ დაგეგმვას. **ფინანსური კედლის გაზეთის გამოცემა** მოსწავლეები თვეში ერთხელ მოამზადებენ კედლის გაზეთს თემატური სტატიებითა და რჩევებით, როგორიცაა: „როგორ დავგეგმოთ ხარჯები“, „ბიუჯეტის სმარტ რჩევები“, „ფინანსური მიზნების დასახვა“. გაზეთის შინაარსი ეფუძნება „ფინედუს“ კუთხეში არსებულ რესურსებს. აქტივობა ხელს უწყობს კვლევით მუშაობას, წერით უნარებსა და გუნდურ მუშაობას. **ფინანსური პოსტერების კონკურსი** ოქტომბერში გამოცხადდება კრეატიული პოსტერების კონკურსი თემაზე: „ფული და პასუხისმგებლობა“, „ბიუჯეტის მაგია“, „ვიზუალური რჩევები დაზოგვაზე“. მოსწავლეები იმუშავებენ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. პოსტერებს განვათავსებთ სკოლის ფეისბუქ გვერდზე . გამარჯვებული გამოვლინდება საკონკურსო პოსტერზე დაფიქსირებული

	რეაქციების რაოდენობის მიხედვით, გამარჯვებულად დასახელდება ყველაზე მეტი რეაქციის მქონე პოსტერის ავტორი. **საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები** – სკოლაში მოწვეული იქნებიან ბანკის თანამშრომლები და ექსპერტები, რომლებიც მოსწავლებს ჩაუტარებენ საინფორმაციო შეხვედრებსა და ტრენინგებს.
შედეგი, რომელიც დადგება პროექტის/აქტივობის შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომავთ პროექტის განხორციელების შედეგს ან რითი შეაფასებთ პროექტის წარმატებას)*	მოსწავლეები უკეთ გაიაზრებენ ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების პრინციპებს, შეძლებენ ბიუჯეტის შედგენას, ხარჯების გათვლას, დაზოგვასა და მიზნობრივ ფულის გამოყენებას. პროექტის წარმატება შეფასდება როგორც მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით, ისე მათ მიერ განვითარებული და გამოვლენილი უნარებით. თითოეული აქტივობის შემდეგ დაფიქსირდება მონაწილეთა რაოდენობა, მათი მონაწილეობა შეფასდება დაკვირვებით, ჯგუფური მუშაობის ხარისხითა და ინდივიდუალური დავალებების შესრულებით. მნიშვნელოვანი მაჩვენებელი იქნება მოსწავლეების მიერ შექმნილი პროდუქტები – ბიუჯეტის გეგმები, პოსტერები, სტატიები, პრეზენტაციები და კედლის გაზეთის ნომრები. აქტივობების დასრულების შემდეგ მოსწავლეები შეავსებენ მოკლე რეფლექსიურ კითხვარს, რაც დაეხმარება მასწავლებლებს შედეგების ანალიზსა და პროექტის გაუმჯობესებაში. პროექტის წარმატებად ჩაითვლება ასევე ისიც, თუ მოსწავლეები თავად წამოიწყებენ დამოუკიდებელ ფინანსურ ინიციატივებს, რაც მიუთითებს მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე.
დაახლოებით როდის გეგმავთ პროექტის ორგანიზებას/განგრძობითი პროექტის შემთხვევაში ინიცირებას	პროექტის ორგანიზება დაგეგმილია **2025 წლის სექტემბერში** და განხორციელდება **დეკემბრამდე ,** თვეში ორი აქტივობის ჩატარებით.